

სნაველობენ პარტიის XX ყრილობის მასალებს

ტყიბულის რაიონში ენერგიული მუშაობა გაჩაღდა მშრომელებისათვის პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა გასაცნობად. ყველა შახტში, საწარმო-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში გაძლიერდა სააგიტაციო მუშაობა. პარტიის ტყიბულის რაიკომმა მოიწვია აგიტატორთა ზონალური თათბირები ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდის საკითხებზე.

პარტიული აქტივის ძალებით ყრილობის მასალებზე წაკითხულია 82 მოხსენება, რომლებსაც 22 ათასზე მეტი კაცი დაესწრო. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შესწავლელ სემინარებში, წრეებსა და პოლიტსკოლებში გაიმართა პირველი

მეცადინეობანი, რომლებიც ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების შესწავლას მიეძღვნა.

პარტიის XX ყრილობის მასალების პროპაგანდის საქმეში მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან ლენინის სახელობის შახტის აგიტკოლექტივები, რომლებიც 80-მდე აგიტატორს აერთიანებენ. აგიტატორები ლ. ვაშაკიძე, ა. გურგენიძე, გ. ფარემუზოვი, პ. ექსეულიძე, გ. რაზმაძე, ა. მამულაშვილი მეშახტეებს აცნობენ ამხანაგების ნ. ს. ხრუშჩოვისა და ნ. ა. ბულგანინის მოხსენებებს, აგრეთვე ყრილობის სხვა მასალებს.

უნარიანად აწყობენ XX ყრილობის მასალების პროპაგანდას აგრეთვე სტალინის სახელობის, მოლოტოვის სახელობისა და გელათის შახტების პარ-

ტიული ორგანიზაციები. ყრილობის გადაწყვეტილებათა გაცნობამ მეშახტეთა მძლავრი პოლიტიკური და საწარმოო აღძვლობა გამოიწვია, გაიზარდა შრომითი ენთუზიაზმი და კიდევ უფრო გაძლიერდა ბრძოლა ქვანახშირის ამოღების გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის. საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულმა სტალინის სახელობის შახტის კოლექტივმა განამტკიცა ყრილობის მუშაობის დღეებში მოპოვებული წარმატებანი და კიდევ ერთი ახალი საწარმოო გამარჯვება მოიპოვა — ვადაზე ადრე შეასრულა თებერვლის გეგმა, მნიშვნელოვნად გაზარდა შრომის ნაყოფიერება.

3. ცირეკიძე,